ხელშეკრულება № 1/29

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(ერთ პირთან მოლაპარაკება)

„9 " „დეკემბერი" 2014წ.

სსიპ თბილისის №209 საჯარო სკოლა (მის: წყაროს ჩიხი№1 ს/კ 236087907), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად"**, წარმოდგენილი სკოლის დირექტორი ია აბუაშვილის სახით და **სს ელიტ ელექტრონიქსი ს/კ 202268928 მისი მენეჯერი გიორგი კაპანაძის სახით,** შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად"**, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია. ***პორტატული კომპიუტერის და ფოტოაპარატის შესყიდვა*** **CPV—302 13100** (2 ცალი ლეპტოპი, 1679,98 ლარი) და **CPV-38652100** (1 ცალი ფოტოაპარატი 533,49 ლარი)

ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2213,47** ლარს.

2.2 მომსახურების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლებამოსილებები

4.1 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მომსახურეობის გაწევა შესაბამისი სტანდარტების გამოყენებით.

4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს დეტალური ანგარიში გაწეული მომსახურეობის შესახებ

4. მომსახურების ხარისხი

განხორციელებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში დადგენილ სტანდარტებს.